



თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ო ბ ი ს მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას შორის

თბილისი, 13 მაისი, 2019 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო (შემდგომში - „სააგენტო“) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის - ზაზა ვაშაყმაძის სახით და, მეორე მხრივ, სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა (შემდგომში - „სკოლა“) წარმოდგენილი მისი დირექტორის - ქეთევან ჯაყელის სახით (შემდგომში - „მხარეები“), ვაფორმებთ წინამდებარე მემორანდუმს და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანს წარმოადგენს მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

მუხლი 2. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია რელიგიურ უმცირესობებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა, თანამშრომლობა საგანმანათლებლო და პროფესიულ საკითხებში, მხარეთა მიერ ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

მუხლი 3. მხარეთა თანამშრომლობის პირობები

მხარეები მემორანდუმის მიზნების მისაღწევად თანხმდებიან ითანამშრომლონ შემდეგზე:

- 3.1. სკოლა, სააგენტოსთან შეთანხმებით, დაგეგმავს და განახორციელებს რელიგიური უმცირესობების სასულიერო პირებისათვის ქართული ენის სწავლებას.
- 3.2. სააგენტო, სასწავლო პროგრამის გავლის მიზნით, მიაწვდის სკოლას სასულიერო პირთა ნუსხას, სააგენტოს პროექტის „ქართული ენა სასულიერო პირებისათვის“ ფარგლებში.
- 3.3. სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მაღალ ორგანიზაციულ დონეზე წარმართვას, მსმენელთათვის მოსახერხებელი გრაფიკითა რელიგიის სფეროს ლექსიკით გამდიდრებული სასწავლო პროგრამით.
- 3.4. სააგენტო, შესაძლებლობების ფარგლებში, მხარს დაუჭერს სკოლის პროექტებს და დაგეგმილ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ სახელმწიფო ენის პოპულარიზაციას, სახელმწიფო ენის სწავლების პროცესის სრულყოფას, ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაციას.
- 3.5. თანამშრომლობის დამატებითი მიმართულებები შესაძლებელია განისაზღვროს მხარეთა შორის მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული წერილობითი შეთანხმებით.

მუხლი 4. მემორანდუმის მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძველები

- 4.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 3 წლის ვადით.
- 4.2. წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების ვადა გაგრძელდება ავტომატურად, თუ ერთ-ერთი მხარე წერილობით არ მოითხოვს მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტას.
- 4.3. წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების ვადაზე ადრე მოშლა დასაშვებია ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით, არაუგვიანეს 2 კვირით ადრე.


მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

- 5.1. წინამდებარე მემორანდუმში, მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომლებიც მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.
- 5.2. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მემორანდუმის მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო.
- 5.3. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო
სააგენტო

საქართველო, 0105
ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას ქ. N7
ელ.ფოსტა:
ვებ-გვერდი:



ზაზა ვაშაყმაძე

თავმჯდომარე

სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო
ადმინისტრირების სკოლა

საქართველო, 4600
ქ. ქუთაისი, ნიკვას ქ. N13
ელ. ფოსტა:
ვებ-გვერდი:



ქეთევან ჯაყელი

დირექტორი